ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №3

05 დეკემბერი, 2017 წელი
11:00 საათი

(ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ოთახი 329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ქეთევან ჯოხაძე;
2. ვლადიმერ ძნელაძე;
3. გიორგი მუსხელიშვილი;
4. ნინო ლაცაბიძე;
5. გიორგი დოხტურიშვილი;
6. ოთარ გრიგოლია;
7. ლილე ლიპარტელიანი;
8. ფრიდონ ინჯია;
9. დავით ჟღენტი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

1. გელა ჩივიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე;

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

(12-031733421-03 30.11.2017წ)

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღისწესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გიორგი ბირბიჩაძემ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებს წარმოუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები (მომხსენებლები) და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს.

გელა ჩივიაშვილი - პროექტის მიხედვით ბენეფიციარია რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით ესრდება ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის შემდეგი ქვეპროგრამები:

- (კოდი 06 01 06) აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია 377 000 ლარით;
- (კოდი 06 01 07) ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება 643 500 ლარით;
- (კოდი 06 01 08) ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება 140 000 ლარით;
- (კოდი 06 01 12) „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა 215 000 ლარით.
- (კოდი 06 01 13) ტრანსპლანტაცია 1 000 000 ლარის ოდენობით.

ამასთან, (კოდი 06 01 02) დაავადებათა სკრინინგი მცირდება 300 000 ლარის ოდენობით.

გიორგი ბირბიჩაძე - დაინტერესდა დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის ბიუჯეტის შემცირების მიზეზით

გელა ჩივიშვილი - დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის ბიუჯეტის შემცირება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პროგრამა გადავიდა ვაუჩერულ დაფინანსებაზე, შესაბამისად ზოგიერთი მიმწოდებელი კლინიკები ჩაერთვნენ ეტაპობრივად წლის შუა თვეებში.

(კოდი 06 01 09) ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია მცირდება 200 ლარის ოდენობით

გიორგი ბირბიჩაძე - დაინტერესდა ჯამში რამდენით იზრდება ჯანმრბიუჯეტი 2017 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებაში.

გელა ჩივიაშვილი - ჯამში 2017 წლის ჯანდაცვის პროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტი იზრდება 2 075 300 ლარის ოდენობით და შეადგენს 44 137 800 ლარს.

გიორგი ბირბიჩაძე - დაინტერესდა რომელი სოციალური მიმართულების ქვეპროგრამების ბიუჯეტი იზრდება ან/და მცირდება და გამომწვევი მიზეზებით.

ლილე ლიპარტელიანი - დაინტერესდა რომელი ქვეპროგრამაში მცირდება ბენეფიციართა კლების გამო.

გელა ჩივიაშვილი

ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით იზრდება სოციალური დაცვის შემდეგი ქვეპროგრამების ბიუჯეტი:

- (კოდი 06 02 02) სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება 710 000 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 06 02) უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში 28 000 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 06 03) უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში 60 000 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 14 07) უფასო სასადილოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში 208 500 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 16 11) დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ვაკის რაიონში 47 300 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 16 15) დასგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია კრწანისის რაიონში 55 000 ლარის ოდენობით
- (კოდი 06 02 16 16) დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია მთაწმინდის რაიონში 8 000 ლარის ოდენობით;

თბილისის რაიონებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის საახალწლო ნობათების შესაძენად, არსებული რესურსების გათვალისწინებით, იზრდება სხვა სოციალური ღონისძიებები რაიონებში 560 900 ლარის ოდენობით, (კოდი 06 02 18) მათ შორის:

- გლდანის რაიონი- 50 000 ლარი;
- ნაძალადევის რაიონი- 17 600 ლარი ;
- დიდუბის რაიონი -97 100 ლარი;
- ჩუღურეთის რაიონი - 66 000 ლარი;
- ვაკის რაიონი - 10 000 ლარი;

- საბურთალოს რაიონი-20 000 ლარი;
- ისნის რაიონი- 131 100 ლარი;
- სამგორის რაიონი- 64 300 ლარი;
- კრწანისის რაიონი - 60 000 ლარი;
- მთაწმინდის რაიონი- 44 900 ლარი;

სპეციფიკაციაა რაოდენობის კლების გამო მცირდება შემდეგი ქვეპროგრამების ასიგნებები: კოდი 06.02.01 კომუნალური სუბსიდირება 650 000 ლარით;

- (კოდი 06 02 04 01) შშმ პირთა საკურორტო მომსახურება 60 000 ლარით;
- (კოდი 06 02 05) 100 წელს მიღწეულ მოქალაქეებისთვის ეროვნული დახმარება 10 000 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 06 01) უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში 30 000 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 06 04) სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) 80 000 ლარის ოდენობით;
- (კოდი 06 02 10) ომის ვეტერანების დახმარება 10 800 ლარით;
- (კოდი 06 02 15) გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები რაიონებში (გლდანი, ნაძალადევი, ჩუღურეთი, ვაკე, სამგორი, მთაწმინდა) ჯამში: 30 300 ლარით;
- (კოდი 06 02 16) დაწგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია (გლდანი, ნაძალადევი, დიდუბე, ჩუღურეთი, ისანი, სამგორი) ჯამში: 195 300 ლარით;
- (კოდი 06 02 21) მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა 70 000 ლარით;
- (კოდი 06 02 24) უსიწათლო პირების მატერიალური დახმარება 200 000 ლარით;
- (კოდი 06 02 25) სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება 100 000 ლარით;
- (კოდი 06 02 26) შინმყოფლის თანადაფინანსება 18 000 ლარის ოდენობით;

- მცირდება უფასო სასადილოებით მომსახურება შემდეგ რაიონებში.
- ისნის რაიონი-42 000 ლარი
- სამგორის რაიონი -3 500 ლარი
- კრწანისის რაიონი 55 000 ლარი
- მთაწმინდის რაიონი- 7 300 ლარი
- გლდანის რაიონი- 24 000 ლარი

ჯამში: 131 800 ლარის ოდენობით.

ლილე ლიპარტელიანი და დავით ჟღენტი - დაინტერესდნენ მიზეზით;

გიორგი ბირბიჩაძე - ტენდერისა და ხელშეკრულებების შესრულების შედეგად მიღებული ეკონომიებით მცირდება უფასო სასადილოებით მომსახურება.

გელა ჩიკაშვილი - ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში მცირდება 44 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

- გლდანის რაიონი- 12 500 ლარი
- წაბალადეევის რაიონი- 5 900 ლარი
- დიდუბის რაიონი- 2 700 ლარი
- ჩუღურეთის რაიონი -2 100 ლარი
- ვაკის რაიონი-5 300 ლარი
- სახელოვნოების რაიონი- 8 000 ლარი
- სამგორის რაიონი- 7 500 ლარი

ლილე ლიპარტელიანი - დაინტერესდა 1 წლიანი რეგისტრაციის შეზღუდვა დარჩება თუ არა 2018 წელს აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა ქვეპროგრამაში.

გელა ჩიჟიაშვილი - 1 წლიანი რეგისტრაციის შეზღუდვა 2018 წელს აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა ქვეპროგრამაში დარჩება.

ლილე ლიპარტელიანი - თვლის რომ მიდგომა არის დისკრიმინაციული, რადგან პროგრამა არის მხოლოდ თბილისში რეგისტრირებულთათვის და აუცილებლად უნდა იყვნენ პროგრამაში ჩართული სხვა მუნიციპალიტეტის ბენეფიციარებიც.
გელა ჩიჟიაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის გაიდლაინების შემუშავების პროცესში აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ამასთან პროგრამა წარმატებით ხორციელდება ქუთაისის, ბათუმის, ქობულეთის, რუსთავის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში. მთელი საქართველოს მოცვის მიზნით ხდება გაიდლაინების შემუშავება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

ოთარ გრიგოლია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი ვერ ჩაროთავს პროგრამაში მოიღოს საქართველოს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის რომ პროგრამა დაინერგოს და განვითარდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში. პროგრამებით სარგებლობის გამო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გარეთ მცხოვრეს საქართველოს მოქალაქეებს არ შეიძლება დავაკარგინოთ სამსახურები, დავატოვებინოთ სახლები და ხელი შევუწყოთ მათ თბილისში რეგისტრაციას. სწორედ მთელი საქართველოს მოცვის მიზნით ხდება გაიდლაინების შემუშავება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

გიორგი ბირბიჩაძე - კომისიის წევრები ცოასხდებით, რომ გაწსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. საკითხი დასარეგულირებელია, მაგრამ ვთანხმდებით რომ ფაქტია, საკითხი მთელი საქართველოს მოცვის მიზნით უნდა დაარეგულიროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. ქვეპროგრამა განახლდება აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მშობლებთან და პროფესიონალებთან ერთად. შემუშავდება და განხორციელდება ახალი კონცეფცია და 2018 წლის ბიუჯეტში სწორედ განახლებული სახით იქნება წარმოდგენილი.
ფრიდონ ინჯია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი ნამდვილად არ უნდა გახდეს თავკომბალა და ხელი არ უნდა შევუწყოთ პროგრამებით სარგებლობის მიზნით რეგიონებიდან თბილისში

მოდინებას, მაგრამ შესაზლებელია თუ მშობლების სურვილი იქნება შშმ ბავშვი დაფინანსდეს საკუთარ მუნიციპალიტეტში და მიისახურება მიიღოს თბილისში.

გელა ჩიტიაშვილი - სწორედ ეგეთი პრინციპით ხორციელდება ქვეპროგრამა. რუსთავის მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბენეფიციარს და თბილისში იღებს მომსახურებას. ამასთან, მომლოდინეთა სიაში დღეევანდელი მდგომარეობით გვყავს 105 ბენეფიციარი და 2018 წელს 105 შშმ ბავშვი ისარგებლებს ქვეპროგრამით. ძუძუს კიბის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა განახორციელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის საკრებულომ და ამის შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელა პროგრამა, რომლითაც ფინანსდება საქართველოს დანარჩენი რეგიონი. 8 დეკემბერს 12:00 საათზე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკა"-ს შენობაში გაიმართება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა შეხვედრა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების მშობლებთან და შეგიძლიათ თქვენც შობრძანდეთ.

ლადო მნელაძე - შევთანხმდეთ კონკრეტულ საკითხზე, ძალაში დარჩეს თუ არა ქვეპროგრამაში არსებული 1 წლიანი შეზღუდვა.

კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოთ მოყვანილი რიგი მიზეზების გამო შეზღუდვა ქვეპროგრამის განხორციელების წესში უნდა დარჩეს.

გიორგი ბირბიჩაძე სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს.

გაიოზ თალაკვაძე
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30 87 დადგენილებაში ცვლილების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე
ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი სიახლე:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება ფაქტიურად მიღებული შემოსულობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიების გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით.
წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა მცირდება 7,471.2 ათასი ლარით და შეადგენს 818,826.9 ათას ლარს. მცირდება შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რაც დაკავშირებულია მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან, რომლისთვისაც ასიგნებები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, მცირდება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილიც. გარდა ამისა, ბიუჯეტში ფაქტიურად მოხალისებული შემოსულობებიდან გამომდინარე მცირდება შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 25 000,0 ათასი ლარით და ამავე ოდენობით იზრდება შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფაქტიურად მიღებული თანხების გათვალისწინებით პროექტში

ასახულია მიმდინარე ტრანსფერის მუხლიდან 500,0 კაპიტალური ტრანსფერის მუხლში გადატანა.
წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებული რესურსი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, ესენი შორის:
იზრდება შემდეგი ქვეპროგრამის ასიგნებები: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 4,759.3 ათასი ლარით ვაგონების კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის მიზნით; წყალსადენის ქსელის მოსაწყობის მიზნით იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) 14,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) 350,0 ათასი ლარით ფონიჭალა 3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოებისთვის; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის #37.09.714 განკარგულების შესრულების მიზნით, იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 3 000,0 ათასი ლარით; გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) 22,0 ათასი ლარით. 2

2015 წლის 13 14 იანვრის ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის საფოკვიდაციო ღონისძიებების (კოდი 02 11) პროგრამის ფარგლებში ვაკის რაიონისათვის განკუთვნილი ასიგნებები იზრდება 8,7 ათასი ლარით სტიქიის შედეგად დაზარალებული ერთი პირისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ფულადი დახმარების გასაცემად; თონეების სახურავებისა და ლიფტების მიმდინარე შეკეთების მიზნით, იზრდება შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განცხადებების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) 170,0 ათასი ლარით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განცხადებების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) 40,0 ათასი ლარით;

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 2

დაადგინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2017 წლის 05 დეკემბერს კომისიის სხდომაზე განიხილა პროექტი (საკრებულოს-#12-031733421-03 30.11.2017). კომისიის წევრთა უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები შეფასდა დადებითად. პროექტი წარდგენილ იქნას უახლოეს ბიუროზე და საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე